კვირა, 14 მარტი 1904 წ. | 1877 წელიწადი ოც-დამერვე 1904 | კვირა, 14 მარტი 1904 წ


**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. | — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, | 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, | 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, | — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, | 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, | 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, | — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, | 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, | 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, | 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, | 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, | 50 ,, |


# ივერია

№ 67 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 67


**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



განუსაზღვრელ მადლობას ვუძღვნი ქ. ბაქოს ქართველთ, სადგურ აბაშის მოვაჭრეთ და მცხოვრებთ, აგრეთვე იმათ, რომელთაც მხურვალე თანაგრძნობა გამომიცხადეს და ჩემის ცეცხლში დამწვარისა და ულმრთოდ დაღუპულის მეუღლის,

**ვარიკო გლახუას ასულის**

ცივი ცხედარი თავის ცხელის ცრემლებით გაათბეს. უბედური ქმარი საბრალო ვარდიკოსი და დაჩაგრული მამა ოთხის წვრილ შვილისა **სევერიანე ივლიანესძე ბოკერია.** (1—1)

---

რო-ინაშვილისეული ფოტოგრაფია.

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

## ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

## იხარით აქილე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;
2) გადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;
3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეცამეტე სურათი, მიეცემა **მუქთად** აკვარელით (ფერადებით) საუცხოვოდ დახატული.
4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცვლიშე.**

---

**კახეთის მევენახეთა საზოგადოება**

## „კახეთი"

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამხანაგობის წევრთა 1903 წლის ღვინის კარგი მოსავლის გამო, დამფასებელი კომისიის გამოანგარიშებით, საზოგადოება 15 მარტიდგან დაიწყებს გაყიდვას ტფილისის მუშტარისათვი ღვინოს 20 კაპ. ბოთლს.

ყველა აღნიშნულ პრეისკურანტში ნომრიან ღვინოზედაც ფასები დაკლებულია. დაკლებული ფასი აღნიშნულია ეტიკეტზედ და გაიყიდება ამ ფასად მუშტრისათვის,

უმთავრესი საწყობი საზოგადოებისა იმყოფება ერევნის მოედანზედ, თამამშევების ქარვასლაში.

განყოფილება—მიხაილოვის ქუჩაზედ, სლივიცკის სახლებში.

მყიდველთ შეუძლიანთ მოითხოვონ აღნიშნულ საზოგადოების ღვინო ყველა საბაკალეო მაღაზიებში.

(3—59—3).

---



ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

კვირას, 14 მარტს,

გაიმართება კავკასიური

## ჭიდაობა

იჭიდავებენ: ცნობილი კავკასიელი მოჭიდავე **ცერაძე** ცნობილ მოჭიდავე **ქ. მაისურაძესთან.** წამქცევს მიეცემა 25 მ. ჭიდაობა შესდგება წარმოდგენის მეორე განყოფილების ბოლოში. დასასრულ, გაიმართება ბალეტი-პანტომიმა. დაწვრილებითი ცნობები პროგრამაში.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ. (1—63—1).

---

არტისტიული საზოგად. თეატრი.

**კვირას, 14 მარტს 1904 წელს,**

ქართულ დრამატ. დასის არტისტების მიერ ქ-ნთ საფაროვ-აბაშიძის, ე. მესხის, ნ. ჩხეიძის; ბ-ნთ ვლ. ალექსი-მესხიშვილის, კ. მესხის, მ. ქორიძისა და სხვათა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება თ. სუმბათაშვილის ცნობილი პიესა

## ლალაჩი

დრამატიული ლეგენდა 5 მოქ., თარგ. კ. მესხისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. საფაროვ-აბაშიძისა, ე. მესხი, ნ. ჩხეიძე, ნ. დავითაშვილი, ნებიერიძისა. ბნნი: ვლ. ალექსი-მესხიშვილი, კ. მესხი, ქორიძე, იმედაშვილი, ივანიძე, ადამიძე, საფაროვი, იორდანაშვილი, სარჯველაძე, ბაქრაძე, მატარაძე, გვარაძე და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები ისყიდება არტისტიულ თეატრის კასაში,

გამგე ა. იმედაშვილი

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

---

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

**ჩემი თავგადასავალი.**

ჯაკისა

ფასი 1 მანათი.

---

ტფილისის სახაზინო თეატრი

**რუსული ოპერა**

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

**კვირას, 14 მარტს 1904 წელს,**

ბენეფისი და გამოსათხოვარი წარმოდგენაა საიმპერატორო თეატრის არტისტის ა. მ. დავიდოვისა და გამოსათხოვარი გასტროლია ბარიტონის ა. მ. ბრაგინისა.

წარმოდგენილი იქნება

I

## პაიაცები

ოპერა 2 მოქმ., მუსიკა ლეონკოვალოსი.

II

## ჰამლეტი

ოპერა 5 მოქმ., მუსიკა ტომასი (ითამაშებენ მე-2 და მე-5 მოქმედებას).

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ბობროვა-პფეიფერი; ბ-ნნი: დავიდოვი, ბრაგინი, ილიუშენკო, გლადკოვი, უსისკინი და რაზუმნი.

რეჟისორი ა. დ. ბელსკი

კაპელმეისტერი ე. დ. ესპოზიტო

დასაწყისი საღამოს 8 საათ.

**ანონსი:** ორშაბათს, 15 მარტს, წარმოდგენილი იქნება «ფრა-დიავოლო». სამშაბათს, 16 მარტს—«ტოსკა». ოთხშაბათს, 17 მარტს—«სევილიელი დალაქი».

ბილეთები იყიდება.

---

## მამული

უნდათ იყიდონ ვერაზედ და სოლოლაკში, 300—400 ოთხ-კუთხი საჟენი; რის ნაკლებაც არ შეუძლიანთ პატრონთ გაჰყიდონ, აცნობონ ტფილისის ქალაქის გამგეობაში, სამოსწავლო კომისიის საქმის მწარმოებელს 1-ლს განყოფილებაში, 20 მარტს.

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ეორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე**—მიხეილოვის პროსპექტი, № 123.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** ელისაბედის ქუჩა, № 41.

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**გ. ს.ე ლვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**მ. ი. ჭიჭინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მადლაშვილი.** შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**მ. დ. ლამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისდა ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ზრ. მ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**მ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**საღამოთი:**

**ა. გ. მადლაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274


---

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

იაპონელების ომის გეგმა.—სათადარიგო ჯარი.—ვლადივოსტოკის ესკადრა.—გაქრისტიანებული იაპონელები. იაპონიის მწერლები და ომის მიზეზი.—ჩინეთის შეიარაღება.—გენერალ ჟილინსკის დეპეშა.

იაპონიის ომის გეგმა აქამომდე საიდუმლოთია მოცული. ვერავინ გაიგო დაბეჯითებით, რას თუ აპირებს იაპონია და რის იმედი აქვს. ამ საგანზედ ეხლა „ნოვ. ვრემ."-ც ამოიღო ხმა.

იაპონელებმა ომი პორტ-არტურიდგან დაიწყეს, რომელსაც დაეცნენ 26 და 27 იანვარს.

საეჭვოა, რომ ამისთანა იერიშით იაპონელებს ციხის აღების იმედი ჰქონოდათ, როგორც ეს ზოგსა ჰგონია. ისტორიაში ძალიან მცირე მაგალითებია ამგვარად ციხეების დაპყრობისა. მით უმეტეს არ შეიძლებოდა ციხე-სიმაგრის აღება, რომ ადმირალ ტოგოს ესკადრას ხმელეთის ჯარი არ მისდევდა. მხოლოდ ერთის ინგლისელის დეპეშაში იყო ნათქვამი, ვითომც ესკადრას რამდენიმე გემი მისდევდა ხმელეთის ჯარითაო, მაგრამ ეს სიცრუე გამოდგა. იგივე ისტორია გვაუწყებს, რომ სანაპირო ციხის ასაღებად ფლოტმა ჯარი უნდა გადასხას ხმელეთზე...

მაშასადამე, იაპონიის ესკადრას ჩვენი ფლოტი მთლად რომ დაელეწნა, მაინც პორტ-არტურს ვერ აიღებდა, რადგან თან ჯარი არა ჰყავდა, რომელსაც შესძლებოდა მეციხოვანთა ჯართან გამკლავება და მისი გაძევება. და არც იმ ადგილიდგან შეიძლება პორტ-არტურის აღება, საიდგანაც იაპონელებმა იერიში მიიტანეს. ამისათვის, შეეძლოთ ჯარი გადაესხათ უახლოვეს ნავთსადგურებში, ლიაოდუნის დასავლეთ მხარეზე, სადაც რკინის გზა ალაგ-ალაგ თითქმის ნაპირზეა. აქ რომ ჯარი გადაეყვანათ, მაშინ რკინის გზას გადასჭრიდნენ და პორტ-არტურის ჯარს მოიმწყვდევდნენ. მაგრამ იმ დროს ლიაოდუნის ყური მოყინული იყო და ჯარი ნაპირს ვერ მიუდგებოდა.

სჩანს, ადმირალ ტოგოს პირველს იერიშს ის აზრი ჰქონდა, რომ ჩვენი ფლოტი ცოტად მაინც დაესუსტებინა, რადგან ეფიქრებოდა, ხელი არ შეგვიშალოს კორეის ნაპირზე ჩვენის ჯარის გადაყვანის დროსაო. ამ ჯარის გადაყვანას იმ დროს უპირატესად პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა: იმის გარდა, რომ ამით საზოგადოების აზრს დაამშვიდებდა ტოკიოში, იაპონელებს უნდოდათ კორეის იმპერატორის დამორჩილება, რადგან იაპონიის ელჩი სეულიდგან აუწყებდა, იმპერატორი პენ-იანში აპირებს წასვლას და იქიდგან საფრანგეთის კრეისერით უნდა გაიპაროსო.

როგორც ეხლა ირკვევა, იაპონელებს ცოტას ხანს კიდევ უნდა შეეკავებინათ თავი და ომი არ დაეწყოთ, არამედ შეერჩიათ დრო, როდესაც შესაძლო იქნებოდა, პორტ-არტურზე იერიშის მიტანის დროს ჯარიც გადაეყვანათ ლიაოდუნზე. ხოლო, გარდა მოხსენებულ მიზეზებისა, იაპონია იმანაც ააჩქარა, რომ ვირენიუსის ესკადრაც უახლოვდებოდა ჩინეთის ზღვას, სადაც თებერვალში ელოდნენ.

შემდეგი მოქმედება ადმირალ ტოგოსი — განმეორებაა პირველ იერიშისა იმავე აზრით, ხოლო თან ჯარის გადაყვანაც მოჰყვა ცინამპოს ნავთსადგურში, საიდგანაც პორტ-არტურამდე ზღვით 12—14 საათის სავალია. («ნოვ. ვრემ.»).

—

«ბერლინერ ტაგ-ტის» კორესპონდენტი იწერება ტოკიოდგან, თუ როგორ ჩაიარა იაპონელების სათადარიგო ჯარის საომარ ფეხზედ დაყენებამ:

«ყველა აღფთოვანებულია ომის მოლოდინით; სათადარიგო ჯარი გროვდება. აქედ-იქიდგან მოდიოდნენ ვაჟკაცები და თან ნათესაობა მოსდევდა პატარა ბოხჩა-ხელსახოცებით. ესევე ვაჟკაცები შუადღისას ჯარის კაცების ტანთსაცმელში იყვნენ გამოწკეპილნი და თოფებით ხელში ამაყად ვარჯიშობდნენ. არც ღრიალი, არც წუწუნი, არც სიმთვრალე—ყოველივე წყნარად სწარმოებდა, თითქო ასაღელვებელი სრულიად არა მომხდარა-რაო. სიწყნარე, თავდაჭერა, სიმტკიცე,—აი დამახასიათებელი თვისება იაპონელთა მობილიზაციისა... თუ რუსებსა ჰგონიათ, რომ ამ მხრივ იაპონელებს აჯობებენ, ძალიანა სცდებიან. იაპონელებს მეტად კარგს სკოლაში უსწავლიათ—გერმანელთა სკოლაში. ამაოდ არ ჩაუვლია იმ აფიცერთა შრომას, რომელთაც ბერლინში დაუმთავრებიათ სამხედრო სწავლა...

ერთმა ექიმმა თავი მოიკლა, რადგან, ავადმყოფობისა გამო, ჯარს ომის ველზე ვერ გაჰყვებოდა,—რაღა სიცოცხლეა, თუ ჩემს მოვალეობას ვერ ავასრულებო. სიმთვრალეს მიჩვეულნი სრულიად აღარა სვამენ იაპონურ საკეს, რომ დაზოგვილი ფული ჯარის კაცებს მოახმარონ». («ნოვ.»).

—

კიდევ არ გამოირკვა, სად არის ვლადივოსტოკის ესკადრა?

ადმირალ კამიმურას ესკადრა რომ ვლადივოსტოკს დაეცა, რუსეთის ესკადრა იქ ვერა ნახა. იქ რომ ყოფილიყო ბოლი მაინც გამოჩნდებოდა, რადგან ცეცხლის ჩაქრობა სამხედრო გემზედ არ შეიძლებოდა მეტადრე მაშინ, როდესაც მტრის ესკადრა დაინახეს, ე. ი. ყოველ შემთხვევაში, თუ საბრძოლველად არა, თავშესაფარის ამოსარჩევად ან ნავთსადგურიდგან გასასვლელად მზად უნდა ყოფილიყო, ჩვენი ესკადრა. შემდეგ ადმირალმა კამიმურამ, რაკი დარწმუნდა, რომ რუსის ესკადრა ვლადივოსტოკში არ იყო, სხვა ახლომახლო ნავთსადგურები მოიარა 110 მილის მანძილზე ვლადივოსტოკიდგან და რუსეთის ესკადრა ვერ იპოვა.

სად უნდა ყოფილიყო იმ დროს ვლადივოსტოკის ესკადრა—დღესაც გამოცანად რჩება. გაზეთ «რუს. ვედ.» თანამშრომელი ვ. მ. ამბობს,—მართალი არ უნდა

იყოს ის ამბები, ვითომც ამ ესკადრამ სანგარი გაიარა ღამე, იაპონიის გარს უვლის და ყვითელ ზღვაზე აპირებს გამოსვლას პორტ-არტურისკენაო. 16 თებერვლიდგან სამი კვირა გავიდა და ამ დროს განმავლობაში ესკადრა უნდა მოსულიყო კიდეც პორტ-არტურს, რადგან შეეძლო თან წაეღო მხოლოდ 20 დღის სამყოფი ქვანახშირი, დიდხანს ზღვაზე ვერ გაჩერდებოდაო. ამის გამო, უნდა ვიფიქროთ, რომ ვლადივოსტოკის ესკადრა, იმ დროს, როდესაც ადმირალი კარიმურა დაეძებდა, იაპონიის ზღვაზე დაცურავდა და შემდეგ ისევ ვლადივოსტოკში დაბრუნდა, რომ ქვა-ნახშირით დატვირთულიყო.

კიდევ გაჩნდება ვლადივოსტოკთან იაპონიის ესკადრა თუ არა, ჯერ არავინ იცის. მარტის დამდეგს საშინელი ყინვასიცივე დაიჭირა და შეიძლება, ეს უშლიდეს იაპონიის ესკადრის მონავრობასაო.

—

ამ დღეებში სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებოდენ, რომ ერთმა იაპონელმა, რომელიც პეტერბურგში ჩაის მაღაზიაში მსახურობდა, მართლ-მადიდებლობა მიიღო, რუსის ქალი შეირთო ცოლად და ისაკის ტაძარში იქორწილაო; შემდეგ, როდესაც ომი ასტყდა, დაჰკრა ფეხი, დააგდო ცოლი და იაპონიისაკენ გაეშურა. იქ, რასაკვირველია, აღარც მართლმადიდებლობა უნდა და აღარც რუსის ქალი.

თუ ეს ამბავი მოგონილია,—ამბობს «ნოვ» ი,—მაინც მართალს წაავავსო:

ჩვენს ქალებს ისე ეშინიანთ, ვაი თუ ვერ გავთხოვდეთო, რომ მზად არიან ყველას გაჰყვნენ და არჩევანში არ შედიან, თითქო ეს შლიაპა და წამოსასხამზე უმნიშვნელო იყოს.

იაპონელის აზრით, სარწმუნოებაც ისე საჭიროა კაცისათვის, როგორც ჩაი. ჩაი კი იყოს და სულ ერთია, რა ფერისა და გემოვნებისაა, ანუ რომელ მაღაზიაში ნაყიდი. ყველა თავის გემოვნებაზე და სურვილზე უნდა მოიქცეს. სწორედ ამ თვალით უყურებს იაპონელი სარწმუნოებასაც.

პირველად ქრისტეანე მქადაგებელი შესულა იაპონიაში—ფრანგი, რასაკვირველია,—1549 წელს. პროტესტანტები გაჩნდნენ იქ 1860 წელს და მართლ-მადიდებელნი რუსნი—1861 წ.; ინგლისელებმა მხოლოდ ეხლახან დაიწყებს ქრისტეანობის ქადაგება—1895 წელს.

პირველად იაპონელები სდევნიდნენ ქრისტიანებს და ბევრი მათგანი დ[illegible]ცეს კიდეც. ბოლოს დროს კი ყველა საქრისტეანო მოძღვრების წარმომადგენლებს ნება მიეცათ იქადაგონ, რამდენიცა სურთ და ბევრი იაპონელი მოიქცა. ეხლა მრავლად არიან ფრანგნი, პროტესტანტები, ინგლისელნი მეთოდისტები, კონგრეგაციონისტები, ბატისტნი და სხვანი, რომელთაც თავის საკუთარი «საჩაიები» გააღეს და იაპონელებს ასმევენ სულიერ სასმელსო.

იაპონელები კი ყველა ამათ ისე უყურებენ, როგორც უცხო ენების მასწავლებლებს და დიდის სიამოვნებით უგზავნიან ბავშვებს ხან ინგლისელებს, ხან გერმანელებს, და სხვ., ვინც ოთხს სასწავლებელში კურს დაამთავრებს და ოთხს ენას ისწავლის, იმან ოთხჯერ უნდა გამოიცვალოს სარწმუნოება და ბოლოს კი მაინც შინთოიელად ანუ ბუდდიელად რჩება.

საყურადღებოა, რომ იაპონელები თავმოყვარეობასაც იჩენენ და უსასყიდლო შრომით არა სარგებლობენ. ხოლო რადგან მოძღვარნი თავის შეგირდებს ფულს არ ართმევენ, იაპონელები ფულის მაგიერ მაიმუნებით იხდიან ვალს,—როგორც ფრანგები ამბობენ,—ე. ი. თავის მასწავლებლების სურვილს უმტკიცესად ასრულებენ: წირვა-ლოცვაზე მუყაით დადიან, მუხლს იყრიან, თვალს ზე ჰკირკლავენ, ლოცვებს სწავლობენ და ბუტბუტებენ, ერთის სიტყვით, გარეგნობით ნამდვილი კეთილმორწმუნენი არიან თავის მასწავლებლების მოძღვრებისა, რასაკვირველია, ვიდრე სხვაგან გადავიდოდნენ.

—

ერთს იაპონელთან, რომელიც პეტერბურგში დარჩენილა, ამ დღეებში ლაპარაკი ჰქონია «პეტ. ვედ.»-ის თანამშრომელს ნ. ს—ბსკის. იაპონელმა, სხვათა შორის უთხრა:

— თქვენ (რუსებს) მრავალი მოთხოვნილება გაქვთ. თქვენ ისე აწყობთ თქვენ საქმეს, რომ ცხოვრება ძალიან ძვირად გიჯდებათ. ყოველს თქვენგანს ოჯახს გარეშე იმდენი ხარჯი აქვს, რომ იაპონელის მთელს ოჯახს შეინახავდა. თქვენ, მაგალითად, ჟურნალისტი, რამდენსა ხარჯავთ წელიწადში?

მე ვუთხარი პეტერბურგელის საშუალო შემოსავალ-გასავალი.

იაპონელს გაეცინა.

— აი, ხედავთ! ჩვენში ფელდმარშალი იღებს წელიწადში 5,000 იენს ჯამაგირს. ეს თქვენის ფულით შეადგენს 7,000 მანათამდე. მაშასადამე, თქვენ წელიწადში იმდენსა ჰხარჯავთ, რამდენსაც ჩვენი უმაღლესი სამხედრო კაცი. და თქვენ ხომ რუსეთის ფელდმარშალი არა ბრძანდებით?—ღიმილით მკითხა იაპონელმა.

მე გამოტეხილი უნდა მეთქვა, რომ მწერლობაშიაც-კი ფელდმარშლობაზე შორსა ვარ, თუმცა ჯილდოთი-კი იაპონიის ფელდმარშალს ვემგვსავსები.

— მაშ, თქვენი ჟურნალისტები რას იღებენ ან ბევრი მწერალია თქვენში?

— გაზეთები ჩვენში ბოლოს დროს გაბევრდა და ბევრით ნაკლებად ფასობს, ვიდრე თქვენში. მხოლოდ ტოკიოში ათი ისეთი იაფი გაზეთია, რომ ყოველ ღარიბს შეუძლიან დაიკეთოს... რას იღებენ ჩვენი ჟურნალისტები?.. 500 იენი დიდ ჯილდოდ ითვლება და ამით მთელს ოჯახს შეუძლიან რჩენა. აქედგანაც ერთი სხვა-და-სხვა გარდასახადებზედ მიდის. ეს მშვიდობიანობის დროსაა და ეხლა ხომ გარდასახადი ბევრად მეტი იქნება.

მე დავეკითხე: რამ გამოიწვია ეხლანდელი ომი?

ჩემი მოსაუბრე გაჩუმდა, დამაცქერდა, იმის თვალებში უნდობლობა გამოიხატა. ეტყობოდა, რომ ყოყმანობს: სთქვას თუ არა სთქვას მღელვარებით წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. მერე, თითქო რაღაც გადასწყვიტა, გაჩერდა და დაიწყო:

— ჩვენ გვინდა სახელი მოვიხვეჭოთ აზიაში. აი ეს არის მიზეზი ჩვენის თავ-გამოდებისა.. თქვენს გაზეთებში ვკითხულობდი წერილებს შესახებ «ყვითელის თემისა» და, უკაცრავად, ვიცინოდი. ის აზრი, ვითომც ყვითელი თემი დაიძვრის და ნიაღვარსავით ევროპას წალეკს, როგორც თემურლენგის დროს იყო, იმდენად სახუმარო, რომ არ შემიძლიან არ გავიღიმო .. გაიგეთ რომ ჩვენ აზია გვინდა და მთლად აზია-კი არა, არამედ მისი ნაწილი. ნუ თუ ვერ შეგიგნიათ, რომ ეხლანდელი ომი პირდაპირი შედეგია ჩინეთის ომისა. ჩვენ გვინდა სახელი გვქონდეს ჩინეთში. დამერწმუნეთ, რომ ჩვენთვის ჩინეთი უფრო საყურადღებოა, ვიდრე ყველა სხვა სახელმწიფოები დედამიწაზედ... მხოლოდ ამაზედ არის დამყარებული იაპონიის მომავალი ბედ-იღბალი. სახელის მოსახვეჭად საძირკველი უკვე ჩავყარეთ—ჩვენ ომი გამოვუცხადეთ უძლიერესს სახელმწიფოს, რომლის წინააღმდეგობასაც ჩინეთი ვერც-კი მოისიზმრებს. თქვენ ხომ მოგეხსენებათ ჯგუფის ფსიხოლოგია? აბა, მაშ იფიქრეთ, რა შთაბეჭდილება უნდა ექონია ჩინეთზე მარტო იმ ამბავს, რომ იაპონიამ რუსეთი ხმალში გამოითხოვა? («პეტ. ვედ.»)

ინგლისისა და ამერიკის გაზეთები იუწყებიან: ჩინეთის მთავრობამ ახალი ზარბახნები და სამხედრო მასალა შეუკვეთა ერთს ცნობილ ფირმას ავსტრიაშიო. საერთოდ, ჩინეთის მთავრობა ძალიან ჩქარობს თოფ-იარაღის შეძენასაო. ვაშინგტონში ეს ამბავი არაფრად ესიამოვნებათ, რადგან იქ იციან, რომ ჩინეთის ვიცე-კოროლები მოწადინებულნი არიან ჩაერიონ რუსეთ იაპონიის ომში. («ნ. ვ.»)

—

გენერალ ჟილინსკის დეპეშა მთავარ შტაბისადმი, 7 მარტიდგან:

ჯარი მხნედ არის; ავად არავინა გვყავს. სანაპირო დარაჯების მოხსენებით, ალმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მშვიდობიანობაა. სადგურ უჯიმთან შტაბ-როტმისტრმა აქსენოვმა 70 მხედრით ხუნხუზების ბრბო, 100 კაცი დაამარცხა.

მართლდება ის ამბავი, რომ ან-ჯუ და პიენ-იანი მტრის ქვეითა ჯარსა და არტილერიას დაუჭერია.

ანჯუდგან პიენიანამდე საჩქაროდ მოდის ჯარი და თან ბარგი მოჰყვება

ცინამპოში ეხლახან 13 სატრანსპორტო გემი დაუცლიათ.

გაო-ძანის ნაპირსა და ძინ-ჯოუ-ფუსთან ჯარი გადმოსვლას არ ემზადება.

უცხოელ გაზეთების ცნობები იაპონელთა ჯარის გადმოსვლის შესახებ სხვა-და-სხვა ნავთსადგურებში, უსაფუძვლოა. («მოსკ. ვედ.»)

# ტფილისი

*** მოვაგონებთ მკითხველთ; დღეს, 14 მარტს, საარტისტო საზოგადოების თეატრში, ქართულ თეატრის მსახობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილ იქმნება თავ. სუმბათაშვილის «ღალატი», თარგმ. კ. მესხისა.

*** კარგა ხანია, რაც ქალაქის გამგეობამ განიზრახა მუხრანის ხიდის გაკეთება იმ ადგილას, სადაც ახლა მუხრანის ბორანს აწარმოებს. ამ ჟამად საგანგებო კომისიამ დაათვალიერა მტკვრის ნაპირები და გამოიკვლია, თუ რა ნაირად უნდა გაკეთდეს ხიდი, აგრეთვე გაიგო სიღრმე წყლისა და სიმაგრე ნაპირებისა. მოკლე ხანში იჯარით მისცემენ ხიდის გაკეთებას მსურველთ. ამ საგნის შესახებ საბოლოო მსჯელობას ქალაქის გამგეობა კიდევ იქონიებს.

*** დღეს, 14 მარტს, დანიშნულია საზოგადო კრება ტფილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიის შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების წევრთა. კრება ვაჟთა მესამე გიმნაზიის სადგომშია დანიშნული, ნაშუადღევს პირველ საათზედ.

*** სახაზინო თეატრს მომავალ სეზონისათვის იჯარით იღებს მოსკოვის საიმპერატორო თეატრის არტისტი ბ-ნი ლენსკი.

*** საერო განათლების სამინისტროს განუზრახავს რუსეთის იმპერიის სხვა-და სხვა ადგილებში დააარსოს ოთხ-კლასიანი დედათა საოსტატო სემინარიები. ამ სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნი დაინიშნებიან სოფლის მასწავლებლებად. სამინისტრომ ეს გადაწყვეტილება კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს აცნობა და სთხოვა, შეამტყობინე, რა აზრისა ხართ ამ საგნის შესახებაო.

*** კავკასიის სსიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრთა ხელმეორე კრება დანიშნულია 16 მარტისათვის, რადგან 11 მარტისათვის დანიშნული კრება არ შესდგა.

*** ქალაქს 1903 წლის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია 1.505,081 მ. 54 კ.

*** ფოსტა-ტელეგრაფის ინსპექტორმა ბ-ნმა ლეიმ დაამთავრა ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს რევიზია და 12 მარტს პეტერბურგს გაემგზავრა და არა ბათუმს, როგორც განზრახვა ჰქონდა.

*** 1903 წლის განმავლობაში ქალაქის უბნების მკურნალთ დიდი ყურადღება მიუქცევიათ ხალხის საცხოვრებელ სახლების სისუფთავისათვის. ვისი სახლიც უვარგისი ყოფილა სანიტარულის მხრივ, მკურნალთ ყველა სისუფთავეში მოუყვანინებიათ. ყურადღება მიუქცევიათ აგრეთვე სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათათვის, სადაც ბევრგან უსუფთაობა აღმოუჩენიათ.

*** ტფილისის რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლის შენობის გაფართოვებას ამ თვის დამლევს შეუდგებიან. როგორც ვიცით, მთავრობამ ამ საგნისთვის 38 ათასი მანეთი გადასდო. მომავალ სამოსწავლო წლიდან ამ სასწავლებელში დაარსებულ იქმნება პარალელური კლასები.

*** კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ საზღვარგარეთიდგან მიიღო 1,800 ფუთი გოგირდი და 2,400 ფუთი შაბიამანი.

*** დღეს, 14 მარტს დანიშნულია საზოგადო კრება ტფილისის ცეცხლისაგან დამზღვევ საურთიერთო საზოგადოების წევრთა.

*** თელავის მაზრაში, ალაზნის გაღმა მდებარე სოფლებში, საქონლის ჭირი მძვინვარებდა, ამიტომ კარანტინი იყო დაწესებული. თელავის მაზრის უფროსმა აცნობა ტფილისის გუბერნატორს, საქონლის ჭირი მოისპო და ამიტომ კარანტინი გავაუქმეო.

*** დღეს, 14 მარტს, ქლექის საწინააღმდეგო გამოფენას დაათვალიერებენ საკვირაო სკოლის მოსწავლენი, რომელნიც გამოფენის გამგე-კომისიამ მიიწვია.

*** აბრეშუმის თესლი, რომელიც დიდ-ძალი მოუვიდა კავკასიის მიკროსკოპიულ საბრეშუმო სადგურს და კიდევაც გამოიკვლია, თითქმის სულ გაიყიდა. თესლი გაიტანეს საზღვარ-გარედ, ზოგი კი კავკასიაში გავრცელდა.

*** ხვალ, 15 მარტს, ქუთაისში დაიწყება ქიათურის შავი-ქვის მრეწველთა კრება. კრებაზე გარეშე ხალხთ დასწრების უფლება არა აქვთ.

---

# ფელეტონი

## ფურცელი

(საკვირაო გაზეთი)

წელიწადი მეორე

№ 11.

ძმური სიტყვა ძმობის მსურველთ.

დღეს მოგვივიდა «ივერიის» № 50, რომელშიაც დაბეჭდილია «მშაკის» ნასიბრძნი, ბ-ნ კლდიას ნათარგმნი.

როდესაც ყველგან ყველანი ერთობაძმობაზე ჰბჭობენ და ბაასობენ, «მშაკი» გვაბეზღებს ქართველებს თავისს მკითხველების წინაშე: «ივერია» კაცთ-მოძულეა და უმეტესად-კი—სომხებისა; ბ-ნ მარრს ამდენი ხანია სდევნის მხოლოდ იმიტომ, რომ დედა ქართველი ჰყავს და მამა ინგლისელი და რად «იკვლევს სომხურს ენას და მწერლობასო»...

ყველა ეს მარტო ლათაიებია და სიტყვის ბანზედ აგდება.

ჩვენ არც ერთს ერს არ ვემტერებით, მით უმეტეს სომხისას. საქართველო იმ თავიდგანვე იწყნარებდა და ითვისებდა ყოველს ტომს, მოდგმას, ყველას აძლევდა ბინას, საფარველს, საზდოს და ეკლესიებსაც-კი, როგორც, მაგალ., სომხებს. ამგვარადვე ვიქცევით ჩვენც, იმ ძველ მამაპაპათა ძენი და შვილნი. ჩვენ არ ვემტერებით ერს, ტომს, მაგრამ ვემტერებით, ანუ უკედ ვსთქვათ, თავს ვიგერებთ იმ ცრუ გაგებატონებისაგან, რომელნიც ქადაგობენ, სწერენ და ქვეყანას არწმუნებენ: მტკვარი და ჭოროხი სომხეთის მდინარეებიაო, ალაზნის ველის «კახურს» სომხები აყენებენო, დარიალი სომხეთის კარიაო, „ქართლის ცხოვრება" სომხის უმეცარ ბერის შედგენილიაო, ვახტანგ გორგასლანი მეფე არ იყოო, არც ირაკლი ყოფილა მეფედო, «გრუზინოლოგია» განა ჰლირს იმად, რომ მისის კათედრის შესანახად ტყუილ-უბრალოდ ფული იხარჯებოდესო, სომხებმა მისცეს ქართველებს მწერლობა, მწიგნობრობაო... ჩვენ კიდევ ვამხილებთ და ვგმობთ იმისთანა ვაჟბატონებს, რომელნიც ჩვენის ძველ საყდრებისა და ნაშთების წარწერებს ფხეკავენ და ზედ თავის ენისას აწერენ!

ჩვენთვის სულ ერთია, ვინც უნდა იყვნენ მახინჯი ვაჟბატონები:—იანცი, ძე, შვილი, ოვი, ადი თუ ოლი. ურცხვს ჩვენა ვგმობთ, საძაგელი გვეზიზღება. გულწრფელად, ნებსით თუ უნებლიედ, შემცდარს ჩვენ გულწრფელადვე ვამხილებთ, ჩვენ არა ვკითხულობთ, ვის სადაური დედა ან მამა ჰყოლია, ჩვენ ვარჩევთ, ვაფასებთ მხოლოდ მისს ნამოქმედარს. ჩვენს გულს უხარის, როდესაც ვკითხულობთ მცხეთის ქათალიკოზის არსენის ნაამბობს *) შესახებ იმისა, თუ როგორის სიმედგრით იბრძოდა სომხეთის სამღვდელოება ლვიძლ ერის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, გული გვიკვნესის, როდესაც გავითვალისწინებთ მე-XVII—XVIII საუკ. ქართველ სასულიერო წოდების გაუტანლობას.

დიაღ, ჩვენ «დედითა» და «მამით» არ ვაფასებთ მწერალს, მოღვაწეს. თვით იმავ მარრისთვის არა ერთი საქებარი წერილი მიუძღვნია «ივერიას», მაგრამ იმავე «ივერიის» განკიცხვისაგან ვერ დაუცავს «დედმამას» და «გვარიშვილობას» თვით «წმინდა» ქართველი სწავლულები და მეცნიერები, როდესაც, რასაკვირველია, შეუნიშნავს მათს საქციელში რაიმე სიყალბე, სიმრუდე...

საქართველო და სომხეთი საუკუნოების განმავლობაში შეჰკიდროებულნი იყვნენ ისტორიით, ზნე-ჩვეულებით, და საქართველოს სომხები, ამას გარდა, ენითაც, წიგნითაც. თუ ორთავე ამ ერების მესვეურებს წინდახედულობა ჰქონოდათ, ძმურად შეზმულიყვნენ ულელში, გვწამს, არც სომხეთი დაინგრეოდა მე-XI საუკუნეში და არც საქართველოს მეფობა მოიშლებოდა. სამწუხაროდ, ეს ასე არ იყო და არც ახლაა.

ჩვენიანსაც და არა ჩვენიანსაც ჩვენ ვაფასებთ ორბელიანის თვალსაზრისით.

აი, ერეკლე მეფის სიძე, ა. ვ. ორბელიანი, რასა სწერს მესვეურთა შესახებ:

ა. მეფე ვახტანგი და მისი ძე ბაქარი რუსეთში რომ გარდაიცვალნენ, მას უკან იმათ მოადგილედ არაჩნურთი იოსებ არღუთიანი იყო საქართველოს დასაღუპად და დაჰღუპა იმან იმ ზოგიერთის სომხებითა საფუძვლამდინ («მოამბე. 1895 № 8, გვ. 121).

ბ. საქართველოში სამი დაფარული დასი იყო, წინააღმდეგი მეფის ირაკლისა. პირველი დასი სომხებისა, რომლებთანაც სომხების არაჩნურთს (მასუკან ორქივატერი, ეჩმიაწინის პატრიარხი) იოსებ არღუთიანს შეერთება ჰქონდა რუსეთიდგან. ამ სომხების დასმა საქართველოს ყოველი ამბავი კარგად იცოდა და სამეფოს სახლისა, რომელთაც ყველგან ჩუმი აგენტებიც ჰყვანდათ *) (იქვე).

გ. მეორე დასი—გარსევან ჭავჭავაძისა (იქვე).

დ. უკანასკნელი დასი, რომელსაც მიემხრნენ, ივანე ორბელიანი, ზაქარია ენდრონიკაშვილი, იოსებ და დარჩია ბებუთაშვილები, ოსეფა ყორღანაშვილი, სულხან თუმანიშვილი, არტემ არარაცკი და სხ. (იქვე).

ამ ღალატმა სპარსეთის საჭურისს ტფილისი გააოხრებინა და მას მოჰყვა საქართველოს სამეფოს აღსასრულიც...

ყველა ეს მოთხრობილია არა «კაცთმოძულე» «ივერიაში», არამედ სომხთ მოყვარე «მოამბეში», რომელსაც ჰბეჭდავს ა. გ. ჯაბადარი და ა. მ. ქყონია. «მშაკის» ლოღიკით, ესენიც სომხების მოძულენი უნდა იყვნენ, რადგან იძლევიან გულის აღმაშფოთებელ ამბებს შესახებ დასაგმობ მოღალატეებისა! არა, ბატონებო, ამგვარს საქმეებში ყველა ქართველი ერთნაირად სჯის, ყველა მოძულეა მხოლოდ საძულავ და საძაგელ არსებათა, ქართველებია ეს იუდისებრი არსებანი, თუ სომხები.

საკვირველია, რომ სომხის ზოგი სახელოვანი მეცნიერნიც ცალმხრივად სჯის საქართველოს შესახებ და, ალბად, საქართველოს დასამარცხებლად ტყუილებსაც ჰკადრულობს (მაგალითად იხ. ა. ცაგარლის წიგნში „Свѣдѣнія", вып. 3, გვ. XCVIII).

აქ ვსვამ წერტილს. ამისთანა მაგალითებს ბევრს სხვასაც ჩამოვთვლიდი, რომ დრო და მოცალება გვქონოდა ამგვარ გულ-ასამღრევ ამბების ჩამოსათვლელად...

გვიკვირს და გვაოცებს აი რა. ქართველი რომ ქართველის წინააღმდეგ გაილაშქრებს, სომხის მწერლები ან ჩუმად არიან, ან და იმ ქართველის ნაწერს სიამოვნებით თარგმნიან და ბეჭდავენ, ხოლო ქართველმავე თუ სომეხი ამხილა, მაშინათვე ერთს წილადობილას აბმენ და ამისთანა ქართველს თვიანთ მოძულედ აცხადებენ. დამერწმუნეთ, ასე რომ ვიაროთ, ჩვენ, ქართველები და სომხები, შორს ვერ წავალთ. დაეხსენით, ახალგაზდობამ შეისწავლოს წარსული და აწმყო, ნუ უმრუდებთ მას გზას თქვენის «მძულვარების» თეორიით. გაუშვით, დაჰგმოს და ჯვარს აცვას გამცემლები, მოღალატენი, წარწერების გამრყვნელები. მიეცით ახალგაზდობას ნება სხვა-და-სხვა აბაზაებს შეეკითხნენ: თუ მტკვარი, ჭოროხი, ალაზანი და დარიალი სომხეთი იყო, მაშ სადღა არსებობდა ძლიერი საქართველოს სამეფო, ბაგრატებისა, დავითებისა და თამარებისა?

ვიმეორებთ, კაცმოძულე «ივერია»-კი არ არის ან და ი. ჭავჭავაძე, არამედ, თუ გნებავთ, ისინი, რომელნიც ქართველთა დამცირებით, ვითომ, სცდილობენ სომხეთი აამაღლონ...

ჩვენი გულითადი ნატვრა ეს არის: იცხოვრე და ნუ მიშლი, მეც ვიცხოვრო *).

გარდახველილი.

*) დაბეჭდილია თ. ჟორდანიას ქრონიკებში.

¹) ალბად, ჩვენს კორესპოდენტს არ მისვლია გრენის ჭუჭყიანი ფურცელი (№ 1), თორემ აღნიშნავდა დიდს მსგავსებას მისს ნაწერსა და ორბელიანის მოთხრობას შორის. გრენი, რომელიც აცხადებს, ფეშქეში მივიღე და ამიერიდგან ჩემი გაზეთი დაუზრკოლებლად გამოვაო, სწერს: «რუსეთის წ ნაშე სომხის ერის სამსახური მცირე არ არის: საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს გვშველოდნენ მარტო მოქალაქე სომხები. შემდეგ ამ სომხებმა აღმოსავლეთში იხსნეს შერცხვენისაგან პატივი ჩვენის მცირე ჯარისა თვისის უანგარო, ერთგულის სამსახურით, რადგან გვატყობინებდნენ მტრის გეგმას, მისის მოძრაობის ადგილს, და გვაჭერინებდნენ ციხეებს"... არა გვგონია, რომ ამას სწერდეს თვით გრენი და არა ის სულმდაბალნი და მოკლე ჭკუის „კაცთ მოძულენი", რომელთაც დააფუძნეს, „ნოვოე ობოზრენიეს" სიტყვით რომ ვსთქვათ, ისეთი არარაობა, როგორიც არის ბილწებით აღსავსე გაზეთი „რ. და ა.". რედ.

*) ჩვენს თანამშრომელს, ბ-ნ გარდახვე-

*** ხვალ, 15 მარტს, ტფილისის ქალაქის საბჭოს კრებაა დანიშნული. კრებას რამდენიმე საყურადღებო საგანი აქვს განსახილველი.

# ჩვენებური ამბები

**ქ. თელავი.** ქურდობამ თელავშიაც გაიდგა ფესვი. საზოგადოდ, მალულად მოტაცება და მოპარვა ხშირად ხდებოდა, მაგრამ ამ ბოლოს დროს ისე თავს გაუდნენ ბოროტ მოქმედნი, რომ ხახამი უცვივათ. 27 თებერვალს ეწვივნენ ერთს შეძლებულს მცხოვრებს—გ. შიოშვილს. პირველად თავაზიანად დაუძახნათ: მამი, კარები გააღეო. მანდილოსანს, შიოშვილის ცოლს, გაეგონა და უპასუხა: სხვაგან წასულა არავინ გვყავს, რომ ამ დროს დაბრუნებულიყოსო, მაგრამ მაინც დაუძახნა ქმრისათვის: აჰე, იძახიანო. ისიც ამდგარა, დაუკითხავად კარები გაუღია და ოთახი კაცი კი თავს დასხმია, ზოგი გარედ დარჩენილა. შიოშვილი წაუქცევიათ, დაუჭრიათ და ზემოდან დასხდომიან, ხოლო ცოლი-კი აუგებიათ და უთქმევინებიათ, სად რა ჰქონდათ შენახული; ამოუღიათ უბოვნიათ—ფული 150 მან., 3 ქამარი ვერცხლისა 1 საათი და სხვა ვერცხლეული, ფულის ბარათებიც კი არ დაუნარჩუნებიათ, წაუღიათ და დაუხევიათ. მეორე დღეს ბარათები იპოვეს. წასვლის დროს დაუმუქრებიან, გარედ არ გამოხვიდეთ, იათრები არიანო, კარები ჩაკეტეთ და ისე იყავითო, თანაც თათრულად ულაპარაკნიათ თურმე, რომ არ გვიცნონო. სამი მათგანი მაინც უცვნიათ და გამოუცხადეს პოლიციას, რომელმაც დააპატიმრა კიდეც.

შიდა-კახელი

# რუსეთი

კრაკოვში დიდის ამბით დაუსაფლავებიათ ცნობილი რუსეთის სწავლულის ნ. ბ. ჩიჩერინისა, რომლის სიტყვაც სტუდენტების მიმართ ამას წინად «ნარკვევში» გვქონდა დაბეჭდილი. განსვენებული მეცნიერი ითვლებოდა კრაკოვის უნივერსიტეტის უფლებათა საპატიო დოქტორად. არჩეულ იქმნა 25 მაისს 1900 წელს, როცა 500 წლის იუბილეი გადაიხადეს ამ უნივერსიტეტისა იმასთან ერთად აირჩიეს რუსეთის მეცნიერნი: სკლიფაროვსკი, კონდაკოვი და პიპინი. არჩევის წინად ასეთი დახასიათება უძღვნა ჩიჩერინს უძველესმა სლავიანთა უნივერსიტეტმა: ღრმა მცოდნე საპოლიტიკო უფლებისა, სახელგანთქმული მკვლევარი საპოლიტიკო მეცნიერებისა, კაცი, ცნობილი თვისის სამართლიანობითა დ გონიერებითა. ეს სიტყვები ჩაურთო უნივერსიტეტმა დიპლომში დ მიართვა ჩიჩერინს.

# ნარკვევი

გაზეთ «კავკაზის» № 67-ში დაბეჭდილია წერილი დეკანოზის ი. ვოსტორგოვისა ამ სათაურით: „Къ статьѣ Православіе въ Японіи“. ამ წერილში მამა ი. ვოსტორგოვს, სხვათა შორის, მოჰყავს შემდეგი ნათქვამი ყოვლად სამღვდელო ნიკოლოზისა, იაპონიის მართლ-მადიდებელთა ეპისკოპოსისა:

„ამ ქვეყანაში ქადაგება დაუყოვნებლივ მიიღეს და; უფალმაც აკურთხა იმისი წარმატებით ყოფნა. აწინდელი პოლიტიკური განგაში რუსეთსა და იაპონიას შორის არაფერს არ უშლის ქადაგებას, რადგანაც ხალხი მშვიდობიანად იმყოფება, ხოლო მქადაგებელნი კი, უკეთუ საჭიროება მოითხოვს, შეიძლებენ აუხსნან, რომ სარწმუნოება დამოუკიდებელია პოლიტიკურის საკითხებისაგანო“.

მშვენიერი, საუცხოო აზრი და შეხედულებაა,—დავძენთ ჩვენ: ეპისკოპოსი ნიკოლოზი, მგაბიოდ, ჩვენებურად რომ ვსთქვათ, ამას ამბობს: სარწმუნოების საქმეებში პოლიტიკას რა ხელი აქვს, ანპოლიტიკას რა ესაქმება სარწმუნოების საქმეებშიო. ამ ორ საქმეს «შუა უძევს დიდი ზღვარიო». ამისთანა ალაბით უნდა იზომებოდეს ყველგან და ყოველთვის სარწმუნოების საქმე. როცა მდოგვში შაქარს გაურევენ ხოლმე, მდოგვი საშინელს სიცხარეს იძენს, და როცა რელიგიურს საქმეს «პოლიტიკანები» პოლიტიკას ჩაურთავენ, საქმე ერთობ მწვავდება ხოლმე.

ვისთვის რა ხელსაყრელია ასეთი «პოლიტიკანობა»!?.

# თეატრი და ხელოვნება

## ქართული თეატრი.

რადგან ულმობელი ბედის-წერა დასტრიალებს ჩვენს მსახიობთა თამაშობას. ზედი-ზედ ორის რიგიანის წარმოდგენის გამართვა მათთვის მიუწვდომელი საქმე გამხდარა. თუ დღეს კარგად მომზადებულს წარმოდგენას დაესწარით, დარწმუნებული იყავით, ხვალ პიესა გაფუჭებული იქნება და კარგი შთაბეჭდილებისა მხოლოდ მოგონება-ღა დაგრჩებათ. ეს, პირველის შეხედვით მეტაფიზიკური ურთიერთობა ორის წარმოდგენისა, ადვილად აიხსნება; ეგ ამბავი იმ კანონის უარყოფის შედეგია, რომელიც ამბობს: სუსტი ნაწილები ერთის მთელისა, ერთმანეთის დახმარებით, უნდა სცოცხლობდეს, სიკვდილია დაყოფა, ძალთა დაქსაქსვა იქ, სადაც მხოლოდ ერთობას, ძალთა შეთანხმებას შეუძლიან სასიცოცხლო ნაყოფის გამოღებაო. ამ კანონს გვერდი აუხვიეს ჩვენმა სცენის მუშაკებმა, თავისი ძალ-ღონე დაჰყვეს, დაჰქსაქსეს და, რაღა გასაკვირველია, თუ შეუგნებელი კანონი თავისას ითხოვს, შურს იძიებს. ამ შურის-ძიების მსხვერპლად ხუთშაბათს, 11 მარტს, ვ. გუნია იყო.

იმ ამხანაგობაში, რომლის გამგეც ის არის, «ხალხის მტერში» ექიმის როლის თამაშობა ასევე იმას თუ შეეძლო სხვაზედ კარგად. თუმცა მოლოდინი სრულებით არ გამართლდა. შეუფერებლად ნაკისრი როლი მსახიობმა გააფუჭა და გააფუჭა მასთან ერთად მთელი პიესაც, რადგანაც ექიმის როლი «ექიმ შტოკმანში» უმთავრესი და ყველაზედ საყურადღებო როლია. ჩვენ გაცილებით მაღლა ვაყენებთ კ. მესხის თამაშობას ამ როლში, თუმცა, რასაკვირველია, იდეალთან ისიც შორს არის.

ექიმი შტოკმანი მეცნიერებაში გართული სწავლულია; ცხოვრების წვრილმანებს დაშორებული, გამოკვლევათა სფერაში სცხოვრობს და ერთის მასწრაფებითაა გამსჭვალული, რომ აღმოჩენილი ჭეშმარიტება ხალხის საკეთილ-დღეოდ გამოიყენოს; თვით უანგარობა და პატიოსანს, სხვაც ეგრეთი ჰგონია და ვერ წარმოუდგენია, რომ ჭეშმარიტების უარყოფა შეიძლებოდეს რაიმე მოსაზრებით. მაგრამ აი, აღმოჩენა მას ცხოვრების პირის-პირ აყენებს. ადამიანის დიდ ნდობით გამსჭვალული უამბობს თავის მახლობელთ, აღმოჩენის მნიშვნელობას და ვერ მიმხვდარა, თუ რისამე თქმა შეიძლება იმის წინააღმდეგაც, მისის აზრით, აგრე აშკარაა და ჭეშმარიტი. ამიტომაც, წინააღმდეგობა ძმასა აკვირვებს, სახტად დარჩენილია ძმასთან, მაგრამ იმედი აქვს, მისი თანამოაზრენი დაიჭერენ მასს მხარეს და, თუ ბურგომისტრს თავმოყვარეობა და გაუგებლობა ხელს უშლის ჭეშმარიტებას თვალი გაუსწოროს, აფსტადი და სხვანი გულწრფელად მოეკიდებიან მისს საქმეს. მაგრამ აქაც სტყუვდება ექიმი. მეგობრები ყურმოჭრილნი მონანი ჰპოდგნენ თავიანთ ჯიბისა და მთავრობისა. გაკვირვება ძმის მიმართ მეგობრების შესახებ რისხვად გადაიქცევა და ხახალხო კრებზედ კი უკვე მეომარია, რომელსაც თავის მეცნიერულ ლაბორატორიიდან, ჭეშმარიტება—მახვილი ეხლა ცხოვრებაში გადააქვს.

აი, ეს თანდათანობით [illegible] რდა ექიმის რისხვისა, მისის სულიერის მღელვარებისა, საკმაო სინამდვილით დაგვიხატა კ. მესხმა, და იგივე ვერ გადმოგვცა ხუთშაბათის წარმოდგენაზედ ვ. გუნიამ.

პირველ მოქმედებაშივე იყო უკვე განრისხებული, აღელვებული ისე, როგორც უნდა ყოფილიყო მეოთხე და მეხუთე მოქმედებაში; პირველ მოქმედებაშივე ისეთის რისხვით ლაპარაკობდა, როგორც მეოთხეში, და ამიტომაც იყო, რომ საზოგადო კრებამ უფერულად ჩაიარა და ერთფეროვნების სამოსელში დაიკარგა მრავალ-მნიშვნელოვანი მონოლოგი ექიმისა.

სუსტი იყო აგრეთვე ასლაქსენი (მეჯღანიშვილი), რომლის თამაშობამაც ბოლოს და ბოლოს რაღაც ჯამბაზისებური ხასიათი მიიღო.

მესამე მოქმედებაში, მაგალითად, ვერ გავიგეთ, უფრო რომლისა ეშინოდა, ბურგომისტრისა, თუ ექიმისა. ერთისა და იმავე მოწიწებით მოეპყრა ორივეს მოსვლას, მაშინ, როდესაც ბურგომისტრის მოსვლისა და ლაპარაკის შემდეგ, ექიმს არავითარ ყურადღებას აღარ უნდა აქცევდეს.

სუსტი იყო აგრეთვე ექიმის ცოლი (ნ. გაბუნია), ა. გარგარეთელი (პეტრა), რომელმაც ძლიერ უსიცოცხლოდ ჩაატარა თავისი როლი. ესეც-კი უნდა სთქვას კაცმა: პირველ მოქმედებიდანვე ცხადი შეიქნა, რომ ექიმის როლის აღმასრულებლის მეოხებით წარმოდგენის გამოკეთება შეუძლებელი იქნებოდა და ეს გარემოება, რასაკვირველია, ძლიერ მოქმედებდა ყველა მოთამაშეებზედ. შედარებით კარგები იყვნენ ბედევანოვი (ბურგომისტრი), კ. ყიფიანი (მორტენ კილი), მათიკაშვილი და მაღლაკელიძე.

არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ქ. მდივანმა (მორტენ) და მისმა ამხანაგმა თავიანთ თამაშობით ცილი დასწამეს და ჩრდილი მიაყენეს ექიმის პედაგოგიურს შეხედულებას; არამც თუ განათლებულს ექიმს, უბრალო სიკვდილის შვილსაც-კი უფრო ხშირად ისე ჰყავს აღზრდილი შვილები, რომ, როცა უფროსები საქმეზედ ლაპარაკში არიან გართულნი, უმცროსი თავის სიცელქით ხელს არ უშლის მათ. მდივანმა და მისმა ამხანაგმა-კი, არამც თუ ექიმსა და მის თანამოსაუბრეთ დაუძალეს, მაყურებელსაც ართმევდნენ დოხისძიებას, ჭერივახის ყურადღებით მეჩერებულიყვნენ ექიმისა და მისის სტუმრების ლაპარაკზედ. მაგრამ კიდევ აიტანდა ყველა ამას კაცი, მასხარა ასლაქსენსაც გაუძლებდა, ბავშვების სიცელქესაც მოითმენდა, მაგრამ აი რა არ ეპატიება, აი რა დასაშაული მიუძღვის წარმოდგენის გამგეს, რომელმაც წარმოდგენის ნაცვლად თეატრში შეყრილი ხალხს რეპეტიცია აჩვენა იმ სცენისა, როცა სახალხო კრებაა და ხალხი თავის აზრის გამოცხადებით მონაწილეობას იღებს მთელს მოქმედებაში. თავს ვანებებთ აუტანელს სტვენასა და ღრიალს, ეგ იქნება რეალიზმის მოთხოვნილებას დაუმარჩილეს; აღვნიშნავთ იმ გარემოებას, რომ ბრბომ სრულებით არ იცოდა რა უნდა ეყოა, აბა [illegible], როდის რა დაუყვირა ან როდის თანაგრძნობისა ან წინააღმდეგობის გამოცხადება უნდოდა; [illegible] ბრბოს რაიმე სათქმელი ჰქონდა, ეს, რასაკვირველია, არ იცოდა, რის ვაი-ვაგლახით სუფლიორი შეატყობინებდა მას და ისიც, კარგა დიდის პაუზის შემდეგ, იტყოდა ხოლმე სათქმელს, ან დაიყვირებდა, ან დაუსტვენდა.

წარმოდგენის გამგეს ამ სცენისთვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცია, გაეზეპირებინა ყველასათვის სათქმელი და ისე უნდა მოეწყო საქმე, რომ სუფლიორს, რომელსაც თავის პარდაპირის მოვალეობის ასრულებაც-კი უჭირდა, რადგანაც როლები საერთოდ ყველამ, და ექიმმა კერძოდ, ძლიერ სუსტად იცოდნენ, უნებური ხარხარიც არ დასჭირებოდა, რათა ეჩვენებინა ბრბოსთვის, რომ აქ სიცილი უნდაო. ერთი ამისთანა «დემონსტრატიული» ხარხარი მკაფიოდ გაისმა თეატრში...

საერთოდ ძლიერ სუსტად იყო წარმოდგენილი «ექიმი შტოკმანი» ხუთშაბათს და ეს-კი სწორედ საწყენია, რადგანაც პიესაც საუცხოვოა და ხალხიც თეატრში ძლიერ ბევრი იყო. რად მოხდა ასე? იმიტომ, რომ «лебедь рвется къ облакамъ, ракъ пятится назадъ, а щука тянетъ въ воду“.

ქ. ყი—ნი.

# სასამართლო

ტფილისის ოლქის სისხლის მეორე განსამართლის უფილებამ 25 თებერვალს თელავში განიხილა აკურის სადგურთან ფოსტის გაძარცვის საქმე. ბრალი ედებოდა სოფ. ურიათუბნის მცხოვრებთ: ბაგრატა კანაშვილს, გ. სოლომნიშვილს და სოფ. ითორო-მუღაილოს (სიღნაღის მაზრა) მცხოვრებთ: სოინ-ისმაილ ოღლისა და ნიაზ-ნამაზ ოღლის. აი საქმის გარემოება. 17 მაისს, 1903 წელს, სიღნაღში მიმავალი ფოსტას, აკურის სადგურს რომ გასცდენია და ღელეს რომ მიახლოვებულა, ორი კაცი დაჰხვედრია და დაუყვირნია «დადექითო»; ხოლო ფოსტა ღელეში როცა ჩასულა, 4 კაცს თოფების სროლა დაუწყია და ერთი ცხენი მოუკლავთ. ცხენების გამრეკი გადამხტარა კოფოდან და გაქცეულა სადგურზედ შესატყობინებლად. ფოსტალიონიც გადამხტარა, ორჯერ უსროლია, ახლო ჯაგებში შევარდნილა და უგონოდ გამხდარა. როცა მობრუნებულა რამდენისამე წამის შემდეგ, დაბრუნებულა ფოსტასთან, რომელიც გაძარცული დაჰხვედრია. წაეღოთ ფულად 50 მან., ამანათი და მთელი კორესპონდენცია (ქაღალდები, წერილები და სხვა). ამ ბოროტ-მოქმედების შემდეგ პოლიცია შეუდგა გამოძიებას და 4 კაცი, ზემოდ დასახელებულნი, პასუხის გებაში მისცა. ერთი იმათგანი, სოინ-ისმაილ-ოღლი, როცა ბოქაულს ცხენების გამრეკისთვის წარედგინა, ეცნო და ეთქვათ მათ შორის ერიაო. ამას გარდა ფოსტალიონმაც ერთი ბოროტ-მოქმედთაგანი კანაშვილს დაამსგავსა. დამნაშავეთ [illegible] არა ჰყავდათ. სასამართლომ სამი მათგანი დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა: კანაშვილს 7 წლით კატორღაში გაგზავნა, სოინ-ისმაილ-ოღლის 4 წლითა და 8 თვით კატორღა, ნიაზ-ხამაზ-ოღლის 7 წლით და 6 თვით პატიმართა გამასწორებელ განყოფილებაში გაგზავნა, ხოლო სოლომნიშვილი სასამართლომ გაამართლა.

შიდა-კახელი.

## „ივერიის“ ფოსტა

**ლ. მუხურჩელს.** თქვენი ლექსი „იმედი“ არ დაიბეჭდება.

---

**გაზაფხული**

ახმაურდა ტყე და ველი,
გაიფურჩქნა ია, ვარდი;
გაიფანტა უჩინარი,
გულის მწველი, სევდა, დარდი.
ბუნებას გადაეხადა
ზამთრისა თეთრი სუდარა;
ხემაც ფოთოლი მოისხა
სითბომა გაამხნევა-რა.
ბუჩქებიდანა ბულბული
თავის სიმღერით სტკბება,
ჰხედავს, რომ გაზაფხულია,
ბუნება უყვავილდება.
მერცხალიც-კი მოფრენილა
და მაღლა, ცაში თამაშობს,
ხან ძირს დაეშვის, ბუზს იჭერს,
წყალს გაუქროლებს, ნავარდობს.
ხან სახლის ბანზე დაჯდება,
მასაც კი აწევს ფიქრები:
სად გააკეთოს მან ბუდე,
რომ გამოზარდოს ბარტყები...
ბუნება ჰხარობს, სიცოცხლე
ერთობ ყველასა უნდება;
და დღემდე გამწარებული
ცხოვრება დღეს ბევრს უტკბება,
მიხარის, ვსტკბები,—იმედი
ჩემ გულშიც ჩანერგულია,
მეც მომავალი მამხნევებს...
ახლო არს გაზაფხულია.

დ. ელპიტიშვილი.

**ჯირ-ჯირობით.**

(ნ. ჩხეიძის პასუხად).

ზღაპრად თქმულია: ერთმა კაცმა მამალი მოიპარა, ჩოხის კალთაში გამოიხვია, მაგრამ ისე გამოიხვია, რომ მამალს ბოლო უჩანდა. შეხვდა პატრონი.—ძმობილო, შენს მზესა, მამალი დავკარგე და ხომ არ გინახავსო.—ქურდმა იფიცა, ფიცით ხატები სულ ჩამოატყავა: არ ვიციო. რა ვქნა, ძმაო! ფიცი მწამს, მაგრამ ბოლო კი მაკვირვებსო,—და დაიჭირა ტყუილის ფიცილში. ამ ზღაპრისა არ იყოს, დიდად პატივცემული ქ-ნი ნ. ჩხეიძე ფიცულობს: მე კი არა ვარ დამნაშავე, შენ ბრძანდები ცრუპენტელაო, შენ, «მოცლილო კაცოო», მაგრამ ნ. ჩხეიძე ტყუილად ფიცულობს. მისს ტყუილს მამალხოხობზე უგრძესი კუდი აქვს, რაც უნდა დაჰმალოს, ვერ დაჰმალავს; საზოგადოებასთან თავს ვერ გაიმართლებს.

მე ვამბობდი და ვამბობ: «თუ კომიტეტმა დაუშავა რამე, საზოგადოებისა რა ბრალია, იმ საზოგადოებისა, რომელმაც იგი 13 იანვარს ისე აღტაცებით მიიღო და ფიანდაზად გაუშალა». როგორც ჩივის ნ. ჩხეიძე კომიტეტს აქვს მასთან დანაშაული. ძალიან კარგი: მაგრამ საზოგადოება, რომელსაც იგი ქართულს სცენაზე ეგულებოდა სეზონის გათავებამდე? ამისი რა ბრალია? არა გცაო პატივი ქართველმა საზოგადოებამ ბენეფისის დროს? აბა, გულწრფელად მიპასუხეთ, თქვენ თითონ მიპასუხეთ და ნურავის «ჩაძახილს» ნუ აჰყვებით!!...

მაგრამ რასაც ნ. ჩხეიძე ამბობს, ეს იმისი ბრალი არ არის. ეს სულ ბრძოლის ღმერთის ბრალია. იმ დალოცვილმა ჰაერი მთლად გაჟღინთა ბრძოლითა. ყველგან იარაღის ჩხარუნ ჟღარუნი, ყუმბარების სროლა, ზარბაზანის გრიალი! იბრძვის ყველა, ისვრის ყველა ყუმბარებსა. აი ქ-ნი ჩხეიძეც ისვრის ყუმბარებსა. მაგრამ თვით არ ისვრის, იგი მხოლოდ იარაღია, იგი პატარა რამ ზარბაზანია, ეშმაკი უდგია გვერდით ამ ანგელოზს და ასროლინებს ყუმბარებს. მაგრამ ვაი, რომ ეს ყუმბარები ნაქუჩისა გამოდგა!!.

აი ნიმუში: «პირველი წარმოდგენა თავ. სუმბათაშვილის პიესის «ღალატი»-სა იყო 20 იანვარს. 23 იანვარს მე გადმომცეს ზეინაბის როლი და მიბძანეს, რომ 27 მეთამაშნა» (აკადემიურ ჩემია). აი აქ უჩანს ერთობ გძელი კუდი ტყუილსა, აი!!.

აბა, ყური დამიგდეთ, ქ-ნო ჩხეიძე და საზოგადოებავ! სმენა იყოს და გაგონება: როდესაც ე. მესხმა უარი განაცხადა: ზეინაბის როლს ვერ ვითამაშებო, აცნობა თავისი უარი კომიტეტს წერილითა და დეპეშით, მაშინ დრამატიულმა კომიტეტმა სთხოვა ნ. ჩხეიძეს, მაგრამ «უატკაზა». გასჭირდა საქმე. 11-ს იანვარს, საღამოთი, როდესაც თეატრში წარმოდგენა იყო, წევრნი კომიტეტისა შეიყარნენ კანტორაში და გადასწყვიტეს,—სთხოვონ ნ. ჩხეიძეს, შეეხვეწნენ, დაუჩოქონ, ოღონდ-კი ითამაშოს და საზოგადოების სურვილი შეგვასრულებინოსო (საზოგადოება თხოულობდა «ღალატის» წარმოდგენას ქართულად). ნუ დაივიწყებთ, რომ 11 იანვრამდეც სთხოვეს ნ. ჩხეიძეს. აი, 11-ს გამოიხმეს ქ-ნი ჩხეიძე კანტორაში. იქ იყო მაშინ აკაკი, ნ. ქართველიშვილი, სვ. კლდიაშვილი, არტისტი კ. ყიფიანი, ს. მგალობლიშვილი და დ. ნახუცრიშვილი. ეხვეწნენ, ემუდარნენ, როგორც-კი შეიძლება ქვეყანაზე ხვეწნა და მუდარება, ეხვეწნენ თავის დამცირებამდე. ნ. ჩხეიძემ რყევა დაიწყო, სასწორი ათამაშდა, მაგრამ მაინც ეშმაკმა დასძლია: ე. მესხი თამაშობს, მე არ შემიძლიანო.

— ე. მესხმა უარი გვითხრა, ავადმყოფობისა გამო ვერ მოვალო. წაუკითხა ქართველიშვილმა წერილი, დეპეშა. მაგრამ ნ. ჩხეიძე მაინც გაიძახოდა: ე. მესხი თამაშობს, მე არ შემიძლიანო.—საიდან სჩანს, რომ თამაშობს?—მე ვიცი, რომ ითამაშებსო.—რომ არ ითამაშოს, მაშინ თქვენს იქით ღონე არა გვაქვსო,—უთხრეს ხვეწნითა.—თუ ჩვენ არა გვცემ პატივს, აკაკის მაინც ეცით პატივი, მაგის მოღვაწეობას, მაგის ხნოვანებას, მაგის სახელსაო,—უთხრა ერთმა.

იქამდე მივიდა საქმე, რომ ნ. ჩხეიძე იძულებული იყო ეთქვა: რა ვქნა, მე ოჯახს ვერ ვაწყენინებ; იმათთან ვცხოვრობ, იმათთანა ვარ, იმათი სურვილია ე. მესხმა ითამაშოს, ითამაშოს ძმის თარგმანით, მე არ შემიძლიან ვაწყენინოო.

— თუ ის არის თქვენი უარის მიზეზი, რომ იმათთანა სცხოვრობთ და ამიტომ ვერ აწყენინებთ,—უთხრა სვიმონ კლდიაშვილმა,—მობრძანდი ჩემს ოჯახში, დედაჩემთან, არა გვინდა-რა თქვენგან, თავს შემოგევლებით, ოღონდ-კი ჩვენი თხოვნა შეასრულე, იკისრე ზეინაბის როლი და საზოგადოების ვალიდგან ამოგვიყვანეო.

როგორც იყო დაითანხმეს. 11-ს იანვარს იკისრა როლი, 13 ბენეფისი გაათავა; 13 შემდეგ რეპეტიციები დაიწყო და ბ-ნ ვ. გუნიასთან ორჯერ გაიარა რეპეტიცია. მაშასადამე, 12 იანვრიდგან 20 იანვრამდე ნ. ჩხეიძეს კაი რვა დღე ჰქონდა როლის დასასწავლად და, იმისი ნიჭის პატრონი, ძალიან კარგად მოამზადებდა ზეინაბსა. ამ დროს გაჩნდა ე. მესხი და ნ. ჩხეიძემ ზეინაბობას «ღალატში» თავი დაანება. ნ. ჩხეიძე-კი ჰბძანებს: 23 იანვარს როლი მომცეს და 27 უნდა მეთამაშნაო. საიდან სადაო, წმინდა საბაო!!. საიდან გამოიგონა ასეთი სიცრუე! 20-დან მოკიდებული ხომ სულ ე. მესხი თამაშობდა!.. ასეთი მსხვილი ტყუილი გაგონილა?!. არა, ან ვისთან უნდა ეთამაშნა ტფილისში, როდესაც მთელი დასი, როგორც თვით ნ. ჩხეიძე ჰბძანებს, წასული იყო იმერეთს. თუ 23 მისცეს როლი, ეს იმიტომ მისცეს, ალბად, რომ უკეთუ ე. მესხი იმერეთიდან დაბრუნების შემდეგ დაღალულობისა გამო ველარ შეიძლებდა თამაშს, მაშინ სეზონის გათავებამდე ერთხელ მაინც ნ. ჩხეიძეს უნდა ეთამაშნა. აი, ნამდვილი საქმის გარემოება, და რომ ეს ასე იყო, ვსთხოვ ზემოდ დასახელებულთ, ხმა ამოიღონ და ჩემსა და ნ. ჩხეიძის კამათს მსჯავრი დასდონ.

ჯერ-ჯერობით ესეც კმარა. უფრო დასაბუთებულს პასუხს მაშინ მივართმევ ნ. ჩხეიძეს, როდესაც წერილებს, დეპეშებს, და სხვა მასალას გამოვართმევ დრამატიულ კომიტეტს. სადღეისოდ, ჩემდა სამწუხაროდ, ვერ ვიშოვნე ეს მასალა.

ია ერაძე.

---

Წლის რედაქცია გულწრფელად ბანს აძლევს: აბა, სომხებო, ხელი დაჰკარით, ნუ გაგვკიცხავთ უბრალოდ, რათა არა განიკიცხნეთ, ვიცხოვროთ ძმურად, ხელი-ხელ ჩაკიდებული.

რედაქ.

---

**ნარევ-ნაკვეს-გასართობი.**

(ესლანდელ ახალგაზდა თავადებს)

დავაგიროთ მამული...
რად გვინდა, სოფელი?
ქალაქს წავიდეთ და სოფელს—
«прощай, до свиданія!»
იქ დაგვიხვდება «პურ-დვინო»,
ღვთისაგან დალოცვილია
და მაშინ ვიტყვით: სოფელო,
„прощай до свиданія“.
გახდეს ჩავსხდეთ, ვიცხინოთ,
ვუკრათ დუდუკი თარია,
და დავიძახოთ: მამულო,
„прощай до свиданія».
თუ სხვა მოგვეწერდეს, მაშინ-კი
ვაგოროთ ჯოხით შორია,
ერთხმივ შევსძახოთ მამულო:
«прощай до свиданія“

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 მარტი.

**ბერლინი.** (საგანგებო). პარიჟიდგან მოსულ ცნობებით, იქაური ჩინეთის მისსია ირწმუნება, რომ რუსეთ-ჩინეთის ურთიერთი კეთილ განწყობილება უცვლელია და ყოველი ამის წინააღმდეგი ამბავი ტენდენციური ჭორია,

**სევასტოპოლი.** ქალაქის სამართველო ემზადება დიდის ამბით მიეგებოს «ვარიაგისა» და «კორეეცის» გმირებს, რომელთაც სევასტოპოლში ელიან.

**სახალინი.** აქ სრული სიმშვიდეა.

**ნოვგოროდი.** თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ დაადგინა. შეუერთდეს შორეულ აღმოსავლეთს საჭიროებათა დამაკმაყოფილებელ ღონისძიებათა გამაერთებელ ორგანიზაციას ღ შესწიროს 25,000 მ. ამოწყვეტილთა თანხიდან და 8,000 ფლოტისათვის. ჰერცოგის ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძის ლეიხტენბერგის მხურვალე წინადადება იმის შესახებ, რომ თავად-აზნაურებმა იკისრონ მზრუნველობა დაჭრილ და ავადმყოფ აფიცერთა და დაბალ ჯარის-კაცთათვის, თავად-აზნაურთა წინამძღოლებს გადაეცა და დაევალა დაწვრილებით შეიმუშაონ, როგორც სასურველია.

სადიპლომატიო ნაწილის ჩინოსანის თანამდებობის აღმასრულებელისაგან, რომელიც ექვემდებარება მისის უდიდებულესობის მოადგილეს შორეულ-აღმოსავლეთში, დეპეშა მოვიდა მუკდენიდგან, 12 მარტს გამოგზავნილი: ახალი ცნობები იაპონელ გაზეთებისა, «დეილი ტელეგრაფში» ვადაბეჭდილი, ვითომც 6 მარტს პორტ-არტურთან ბრძოლა იყო, ქალაქს ყუმბარები დაუშინეს, კორეაში მოწინააღმდეგეთა ჯარები ერთმანეთს შეეჯახნენ და რუსებმა 600 კაცი დაჰკარგესო, და ვითომც იაპონელები იალუს გადმოვიდნენ დადუნგოუსთანო, — ყოვლად უსაფუძვლოა.

**ორიოლი.** გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ არ შეიწყნარა მოხსენება შესახებ იმისა, რომ სასურველი წოდებრივი უპირატესობა მოიშალოს საერობო სამმართველოშიო.

**მინსკი.** საგუბერნიო საერობო კრებამ შეადგინა გეგმა გზების გაყვანისა მინსკის გუბერნიაში და ამისათვის გადასდო 1.922,000 მანათი.

**ნეაპოლი.** გერმანიის იმპერატორი კაპრისკენ გაემგზავრა და იქიდგან სორრენტოს წავა.

**ლონდონი.** ტანჟერიდგან იუწყებიან, რომ აქ გავრცელებულია ხმა, ვითომც „კელნიშე ცაიტუნგის“ კორესპონდენტი გენტი მოუკლავთ ვეცის ახლოა: მისი გვამი ადგილობრივ მცხოვრებლებს მდინარეში უპოვიათ, ზედ ორი ტყვის ჭრილობა აქ,სო.

**პარიჟი.** საფრანგეთის ელჩმა ვატიკანში ენერგიული პროტესტი გამოაცხადა იმის გამო, რომ პაპმა კარდინალთა წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში საფრანგეთის მთავრობა ცუდად მოიხსენია.

**ბერლინი.** სოფიიდგან იუწყებიან, რომ ნაჩევიჩმა მთავრობას შეატყობინა, ოსმალეთ-ბულგარიის მორიგების ქაღალდი ამ სამს დღეში დამტკიცდებაო.

13 მარტი.

**ლიაოიანი.** (სპეციალურია). როგორც გენერალ მიჩენკოს რაზმიდგან იუწყებიან, იაპონელებმა პენიან-ანჩჟუს ლიანადაგისაკენ წინ წაწევას თავი დაანებეს. იაპონელთა მოქმედებას ყოყმანობა ეტყობა; მათ ეშინიანთ რუსების მზვერავებთან შებრძოლებისა,

ანჩჟუს 3,000 იაპონელია, პაკჩენს 1,000; ცინამპოში 10-მდე იაპონელთა სამხედრო და სატრანსპორტო გემებია. როგორცა სჩანს, იაპონელებს განზრახვა აქვთ შეესივნენ ჩრდილოეთის გზებს, გარს შემოერტყან ჩვენს რაზმებს და მოუცადონ მთელის თავიანთის მხედრობის თავმოყრას.

იაპონიის ცხენოსანთა რაზმს ეშინიან ჩვენის მზვერავ ყაზახების და შეხვდებიან თუ არა, გარბიან და თავიანთ ქვეითა ჯარში იმალებიან.

ტიანძინიდგან ძინჯოუფუს მოვიდა ერთი როტა ჩინელ ჯარის კაცთა, რომელსაც თან ახლდა იაპონელთა ჩამწკრივებული ცხენოსნები.

11 მარტს პეკიჩენს ახლო ჩვენი მზვერავები თავს წააწყდნენ იაპონელთა საყარაულოს. ყაზახებმა სროლა დაუწყეს და დაიხიეს-რა უკან, შეჰხვდნენ იაპონელთა მზვერავებს. ყაზახებმა მზვერავებსაც ესროლეს. ერთი იაპონელი [illegible], ერთი ჯარის კაცი [illegible] მოკლულია. [illegible] დაგვკლებია.

**[illegible]ოკიო.** („რეიტერის სააგენტო“). პალატამ შეიწყნარა ადრესი და მადლობა გამოუცხადა ადმირალს ტოგოს თავისის აფიცრებიოურთ. საზღვაო მინისტრმა კა მათის წინ სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ პალატის წევრნი არ უნდა იყვნენ მეტად დაიმედებულნი ომის მალე გათავებაზედაო, მაგრამ მაინც დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ ჯარისა და სამოქალაქო თანამდებობის კაცთა შეერთებულის ძალით ომს სასურველი შედეგი ექმნებაო.

**ირკუტსკი.** გზათა მინისტრი თავ. ხილკოვი საგანგებო მატარებლით 13 მარტს გაემგზავრა ირკუტსკიდგან პეტერბურგს.

**ვაშინგტონი.** ამერიკის საკანონერო ნავმა «ელენემ», რომელიც ამ ჟამად ნიუჩუანში სდგას ღუზა აშვებული, ბრძანება მიიღო, რომ ამ კვირაში შანჰაისაკენ გაემართოს.

ამერიკის ადმირალი, რომელიც წყნაროკეანის ესკადრას უფროსობს, იმ აზრისაა რომ საქმეთა მდგომარეობა ნიუჩუანში არაა გამწვავებული და ამიტომ, საჭიროება არ მოითხოვს ამერიკის გემის «ელენეს» იქ მისვლასაო.

თუ-კი წავგვეთ ვინმესიან
სულელა ჩვენი ფულია,
ისე მივბეჟოთ, რომა სთქვას:
«прощай до свиданія».

დავაგირავოთ მამული,
რად გვინდა სათხრელაა?
ქალაქს წავიდეთ და სოფელს —
«прощай до свиданія».

ნ. ეგვიტიშვილი

* * *

(მიბაძვა ფაზლისა)

გოგო ვიყავ მშვენიერი,
გავაგიჟე, ვინც რომ მნახა,
ვკისკისკისობდი, ვცქრიალობდი:
ხა, ხა, ხა, ხა! ხა, ხა, ხა, ხა!

ერთს გუთხარი: მიყვარხარ-თქო:
გულს სამოთხე ჩაესახა;
რაც ებადა —შემომწირა....
ხა, ხა, ხა, ხა! ხა, ხა, ხა, ხა!

თვალ-ყურს აღარ აძევნებდა,
ცის შვენებაც რომ ენახა;
მე მივახნდი თავის სატრფოდ:
ხა, ხა, ხა, ხა! ხა, ხა, ხა, ხა!

ერთხელ ბაღში მიხილა და
«გენაცვაო» შემომძახა!
მეც ხმა გავეც, მაგრამ განზედ
სხვას ვეტრფოდი... ხა, ხა, ხა, ხა!

შემდეგ, როცა უბედურმა
ჯვრის დაწერა განიზრახა,
გამოვლანძღე; «შორს!»..—შევძახე
ხა, ხა, ხა, ხა! ხა, ხა, ხა, ხა!

მეორედ სხვას შევუყვარდი;
მანც მდიდრულად შემინახა,
მაგრამ ისიც მოვატყუე...
ხა, ხა, ხა, ხა! ხა, ხა, ხა, ხა!

მე ვსცდილობდი, რომ ფულები
ჩემთვის ბევრი შემენახა;
ვმეღაობდი, ვებიერობდი ..
ხა, ხა, ხა, ხა! ხა, ხა, ხა. ხა!

სულელია ის უმაწვილი,
ვინც თვის ღმერთად ჩვენ დაგვსახა!
და მეც მისთვის მეცინება
ხა, ხა, ხა, ხა! ხა, ხა, ხა, ხა!

ნ. ჩხიკვაძე.

## ლ ო ბ ი ო *).

გურიის ერთ-ერთ სასოფლო სასწავლებელში მასწავლებელი შეგირდებს შესანიშნავის პედაგოგის დ—ქცქის მეთოდით (იგივე მუნჯური მეთოდი) ასწავლიდა. სხვათა შორის, მიიდო შუბლზე თითი და შეგირდებს ეუბნება: **„это лобъ“**, შეგირდები იმეორებენ—«ეტო ლობ»; ბოლოს ისევ მიიდო ხელი და ერთს ეკითხება: «**Что это?**»—შეგირდმა მკვირცხლად უპასუხა: «ეტო ლობიო». მთელს კლასს სიცილი წასქდა; მასწავლებელი გაწითლდა და წაილაპარაკა: «ლობიო ჩემი შუბლიკი არაა, ამ წიგნის ავტორიაო.

* *

დიდმარხვაში ერთი ვიღაც დიდი კაცი გარდაიცვალა. ექიმებმა სთქვეს, კუჭში კატარი გასჩენია და იმას მოუკლავსო; ამას გურულმა ყური მოჰკრა და სთქვა: დედავ, იგი აბდალაი ამ დიდმარხვაში ხორცს რეიზა სჭამდა რომ არ მომკვდარიყოვო. როგორო?—ჰკითხეს. როგორ და დიდმარხვაში ჩემსავით **ლობიო** ეჭამა და კატა აღარ მიეკარებოდაო თუ არა ღ ხორცით გეიბეყა, — რა გასაკვირველია, კატა და ძაღლი ორივე ერთად გასჩენოდათო.

რედაქტორ გამომცემელი ია ერაძე.

*) ღრმად პატივცემულო გ—ლ! შემთხვევით გავიგე, რომ დღეს ლობიოზე სტუმრები გყოლიათ; ამიტომ ვსარგებლობ შემთხვევით, რომ გურულ ლობიოსაც გაუწიო მფარველობა და გიგზავნით ნიმუშს. ისიც გავიგე, რომ, სხვათა შორის „შურდულის“ რედაქტორიც მანდ იქნება და ცოტა რამ იმისთვისაც გაახელით,რასაკვირველია, ლობიოზე ნაკვესი.

დროებითი რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

### პეტერბურგის ბირჟა

12 მარტი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 93,85 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . . | — |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . . | 94,60 |
| ბერლინში „ . . . . . . . | 43,60 |
| პარიჟში . . „ . . . . . . . | $37,62^1/_2$ |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | $6-7^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | $93^1/_8$ ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . . . | $91^1/_4$ მყიდ. |
| 5% პირ. შინაგ მომგ.ბილ. 1864 წ. | $363^1/_2$ ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . . | $303^1/_2$ წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 264 წვრ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . . . . | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| $4^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა . . . . | $87^1/_2$ წვრ. გაყ. |
| 6% ქუთ. [illegible] მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | 88 წვრ. გაყ. |

### რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათომს:** 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 7 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს:** 1) შუადღი ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით)·

**ყარს-ერევანს:** 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2. საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

**ტფილის-ბაქოსაკენ:** 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

**ტფილის-ბათომისაკენ:** 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); დილის 4 ს 4) 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

**ბათომისაკენ:** 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

**ტფილის-ბაქოსაკენ:** ღამის 3 ს. 58 3 წ

ე) შორაპნიდან:

**ჭიათურა-დარკვეთისაკენ:** 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

**შორაპნისაკენ:** 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.


# განცხადებანი

ხალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 16[illegible] გვ

ფასი 30 კაპ.

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

**ჰიგიენური**

ბორნო ტიმოლის საპონი

პროვიზორის

**გ. ფ. იურგენსისა.**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს —ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ ყველას, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ. ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა** 50 კ. ½ ნაჭერი 30 კაპ.

ისყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში. უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან, **მოსკოვში.** (24—9)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

# ქაჯანა

2.

# ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ცალ-ცალკე დებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ Общество распрстр. грамотности.

გამოვიდა დ ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

# ლალაში

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,

თარგმანი გრ. ყიფშიძისა

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი ეძლევა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.**

ს.-პეტერბურგის კომპანია

# „ნადეჟდა“

ღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირ ის გასაგზავნად და ცეცხლისაგან დასაზღვევად.

## დაარსებულია 1847 წელს

| | |
|---|---|
| **მართული თანხა** . . . . | 1.650.000 მან. |
| **სათადარიგო თანხა** . . . . | 2.664.808 მან. |

დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითაც არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან უოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა უოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებს 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს. პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, **სახლის № 10.**

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—ნ.—24)

# ჩ ა ი

## მხ ნაპოვა ჩაის ვაჭრობისა

## ვ. ვისოცკი და კº

მ ო ს კ ო ვ ს.

ტფილისის განყოფილება

მეიდანი, რკინეულობის ბაზარი, ტელეფონი № 432.

ძირის თანხა **6.000.000** მანეთი.

წლიური ხელ-მიცემობა **20.000.000** მანეთზედ მეტი.

Торговый знакъ утвержденъ Правительствомъ

ჩაის მაღალი თვისების წყალობით და მეტადრე ძლიერის სურნელებისა, ნაზის გემოვნებისა და მუქის ფერის გამო, ჩვენმა ფირმამ დაიჭირა პირველი ადგილი ევროპაში წვრილად გაყიდულ ჩაის რაოდენობით.

ჩვენს ქარხნებში, რომელიც მოსკოვსა და ოდესაშია, სადაც იწონება ჩაი და იხვევა პარკებად, მუშაობს 1,500 კაცზედ მეტი.

**ჩვენი ჩაი იყიდება რუსეთის იმპერიისა და საზღვარ - გარეთის ყველა საუკეთესო მაღაზიაში.**

ჩვენის ფირმის ჩაის ყიდვის დროს ვთხოვთ ბ-ნთ მეიდველთ მიაქციონ ყურადღება სწორედ ჩვენი სავაჭრო მარკა—**ხომალდია**, —მთავრობისაგან დამტკიცებული, ზედ დახატული, თუ არა და მოითხოვონ **ჩაი ვისოცკისა ხომალდით.**

გამგეობა ამხანაგობისა მოსკოვშია.

**განყოფილებანი:**

ოდესას, ვარშავას, როსტოვს-დონ., ეკატერინბურგს, ხარკოვს, ტფილისს, რიგას, ვილნოს და სიმფეროპოლში. აგრეთვე ნიჟეგოროდისა და ირბიტის ბაზრობაზედ.

ადრესი ამხანაგობისა მოსკოვსა და განყოფილებათათვის: „Товарищество чайной торговли В. Высоцкій и К-º“.

დეპეშებისათვის: **„Корабликъ“.**

**ჩაი თ ა ვ რ ო ბ ლ ბ ს**


[illegible]лено цензурою Тифлисъ 13 мартъ 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Рус. базаръ арм. домъ, семинаріи.